

## ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა

### პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლის შედეგები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს:

- 140 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი (125 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო კურსები; 15 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი კურსები)
- 20 კრედიტი - უცხოური ენები
- 10 კრედიტი - საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები
- 10 კრედიტი - თავისუფალი კრედიტები
- 60 კრედიტი - ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაცია / დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები/თავისუფალი კრედიტები

კურსის დასახელება	კრედიტი	სასწავლო კურსის მიზანი
<b>სავალდებულო კომპონენტი</b>		
1. ინგლისური ენის მაღალი დონე - გრამატიკა I	5 5	კურსის მიზანია სხვადასხვა დონის გრამატიკული უნარ-ჩვევების განვითარება, ისე რომ სემესტრის ბოლოს ყველამ მიაღწიოს სულ ცოტა B1 (საშუალოზე მაღალ) დონეს. კურსის მიზანია, ამაღლდეს სტუდენტების ენობრივი (გრამატიკული) კომპეტენცია. სტუდენტების ზეპირი გამონათქვამები და ნაწერები უნდა იყოს სპონტანურიც და გრამატიკულად კორექტულიც. მათი საშუალებით სტუდენტებს უნდა შეეძლოთ, მიაღწიონ პრაგმატულ და კომუნიკაციურ მიზნებს.
2. ინგლისური ენის მაღალი დონე - გრამატიკა II		
3. ინგლისური ენის მაღალი დონე - კითხვა და ლექსიკა I	4 4	წინამდებარე კურსის მიზანია განავითაროს სტუდენტის აზროვნება, მსჯელობა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი. კურსის წარმატებით დასრულებისას, სტუდენტს უნდა შეეძლოს გამოიყენოს კითხვისა და ინფერენტული აზროვნების კრიტიკული და ეფექტური უნარები უნივერსიტეტისთვის განკუთვნილი ტექსტებისა და პირადი მიზნებისათვის კითხვისას.
4. ინგლისური ენის მაღალი დონე - კითხვა და ლექსიკა II		
5. ინგლისური ენის მაღალი დონე – აუდირება და წარმოთქმა I	4 4	კურსი მიზნად ისახავს სხვადასხვა თემატიკაზე ინტეგრირებული სწავლების საფუძველზე მოსმენისა და მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას. ის აგრეთვე მიზნად ისახავს ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში ინტელექტუალურად სადავო თანამედროვე თემატიკის მოძიების საფუძველზე სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების სტიმულირებას. მოთხოვნების გათვალისწინებით კურსი ორიენტირებულია სტუდენტთა სათანადო მომზადებაზე რომ გაიგონ აკადემიური ლექციები და გააკეთონ მოკლე ჩანაწერები.
6. ინგლისური ენის მაღალი დონე – აუდირება და წარმოთქმა II		
7. ინგლისური ენის მაღალი დონე – საუბარი I	4 4	კურსის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს ინფორმაციული და დამარწმუნებელი საჯარო სიტყვით გამოსვლის უნარ-ჩვევები. ის დაეხმარება სტუდენტებს მათი იდეებისა და შეხედულებების თანმიმდევრულად და

8. ინგლისური ენის მაღალი დონე – საუბარი II		ორგანიზებულად გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარებაში ინგლისურ ენაზე. მათ ასევე განუვითარდებათ ინტერპერსონალური და კულტურათშორისი კომუნიკაციის გაგების უნარი.
9. თხზულება (მაღალი დონე) 1 10. თხზულება (მაღალი დონე) 2	5 5	წინამდებარე კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს ეფექტურ წერაში როგორც საუნივერსიტეტო პროგრამით გათლილ სხვადასხვა საგნებში, ასევე პროფესიულ და პირად ცხოვრებაში. ყურადღება გამახვილდება თხზულებების წერაზე, მაგრამ სტუდენტები დაეუფლებიან სხვადასხვა სახის წერილების წერის უნარ-ჩვევებსაც.
11. ინგლისური ენის კომპეტენცია (FCE) I 12. ინგლისური ენის კომპეტენცია (FCE) II	7 8	კურსის მიზანია სტუდენტების მომზადება კემბრიჯის პირველი სერთიფიკატის გამოცდისთვის, რაც გულისხმობს ოთხი ენობრივი უნარის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) სათანადო დონეზე განვითარებას.
13. ენათმეცნიერების შესავალი	5	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე ენათმეცნიერების ძირითადი ცნებები; პროგრამისა და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღება მახვილდება ინგლისური ენის ლინგვისტიკაზე. კურსი მიმოიხილავს ენის შესახებ არსებულ თანამედროვე ცოდნასა და ამ ცოდნის მისაღებად აუცილებელ მეთოდებს. სტუდენტები გაეცნობიან პროფესიულ ლიტერატურას, რათა გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა ენისა და მისი ფუნქციის შესახებ. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტი შეიძენს ცოდნას ენის შინაგანი სტრუქტურისა (ფორმის) და ადამიანთა კომუნიკაციაში ენის სხვადასხვა გამოყენების (ფუნქციის) შესახებ.
14. ბრიტანული კულტურა და მულტიკულტურული საკითხები	5	ინტერდისციპლინარული კურსი “ბრიტანეთის კულტურა და შერეულ კულტურათა სწავლება” ქართველ და უცხოელ სტუდენტებს მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის ბრიტანეთის კულტურის შესახებ რომლის მიწოდებაც ხდება ისტორიულ კონტექსტში. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დღეს სტუდენტები ფლობენ მწირ ინფორმაციას თუნდაც ისტორიული ფაქტების შესახებ. კურსი ამავდროულად ასახავს ცვლილებებს ბრიტანეთის ეთნიკურ სპექტრთან მიმართებაში და სწავლობს ბრიტანეთის შერეულ კულტურათა საზოგადოების განვითარებას და მიღწევებს.
15. ინგლისური ლიტერატურის შესავალი	5	კურსის დასრულებისას სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი წარმოდგენა (ცოდნა) ინგლისური ლიტერატურის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ ცნობილი ავტორები და მათი ნაწარმოებები, უნდა შეეძლოთ მსჯელობა მათ შესახებ კულტურულ კონტექსტში, გაანალიზონ ნაწარმოები ლიტერატურული ტერმინების გამოყენებით. სასწავლო

		პროცესში დიდი ყურადღება დაეთმო ინგლისური ლიტერატურის გავლენას ბრიტანული კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.
16. მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა	5	კურსის დასრულებისას სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი წარმოდგენა (ცოდნა) მსოფლიო ლიტერატურის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ ცნობილი ავტორებისა და მათი ნაწარმოების შესახებ, უნდა შეეძლოთ იმსჯელონ მათ შესახებ კულტურულ კონტექსტში და გაანალიზონ ნაწარმოები ლიტერატურული ტერმინების გამოყენებით.
17. ლიტერატურული ტერმინები და მიმდინარეობები	5	კურსის დასრულებისას სტუდენტებს ექნებათ ზოგადი წარმოდგენა (ცოდნა) ინგლისური ლიტერატურის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ ცნობილი ავტორებისა და მათი ნაწარმოების შესახებ, უნდა შეეძლოთ, იმსჯელონ მათ შესახებ კულტურულ კონტექსტში, გაანალიზონ ნაწარმოები ლიტერატურული ტერმინების გამოყენებით. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება დაეთმო ინგლისური ლიტერატურის გავლენას ბრიტანული კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.
18. ინგლისური ენის ფუნქციონალური გრამატიკა	5	კურსი მიზნად ისახავს ინგლისური ენის გრამატიკის შესწავლას და აქცენტს აკეთებს გრამატიკის კომუნიკაციაში გამოყენებაზე და არა თავისთავად გრამატიკული სტრუქტურების შესწავლაზე. კურსის მიზანია ახლებურად წარმოადგინოს გრამატიკა, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი გრამატიკულ სტრუქტურას სისტემურად აკავშირებს მნიშვნელობებთან, გამოყენებასთან და სიტუაციებთან. ყოველივე ეს მიზნად ისახავს ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დახვეწას. კურსის მსვლელობისას გრამატიკა შეისწავლება არა როგორც წესების ერთობლიობა, არამედ როგორც სიტყვებისა და სტრუქტურების კომუნიკაციური გამოყენება.
19. სტილისტიკა	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სტილისტიკის, განსაკუთრებით ინგლისური ენის სტილისტიკის, ძირითადი ცნებები. კურსის მთავარი მიზანია სტუდენტი აღჭურვოს სტილისტიკის საბაზისო თეორიული ცოდნით; განავითაროს მასში როგორც მხატვრული, ასევე არამხატვრული ტექსტების სტილისტური ანალიზისთვის აუცილებელი მყარი პრაქტიკული უნარები, ჩაუნერგოს სტუდენტებს როგორც მხატვრული, ასევე არამხატვრული ტექსტებისა და საერთოდ, ხელოვნების ნიმუშების შეფასებისთვის საჭირო ღირებულებები.
20. ლექსიკოლოგია	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვების წარმომავლობა და მათი ეტაპობრივი განვითარების გზები. კურსი სიღრმისეულად მიმოიხილავს შემდეგ თეორიული საკითხებს: სიტყვა და მისი არსი, სიტყვათწარმოება, ინგლისური ენის განვითარების ისტორიის მანძილზე

		<p>სხვადასხვა ენებიდან ნასესხები სიტყვების თავისებურებები და ლექსიკის გამდიდრების წყაროები. კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეისწავლონ თანამედროვე ლექსიკის სტრუქტურა და მისი პრაქტიკაში სწორად გამოყენება. ისინი შეისწავლიან რა არის სიტყვა, ინგლისური სიტყვების წარმომავლობა, როგორ იქმნება სიტყვა, რას ნიშნავს სიტყვა, როგორ გამოიყენება სიტყვა, და როგორ ხდება მათზე დაკვირვება.</p>
<p>21. დიდი ბრიტანეთის ისტორია 1 22. დიდი ბრიტანეთის ისტორია 2</p>	5	<p>კურსის მიზანია დიდი ბრიტანეთის ისტორიის თემატური შესწავლა უძველესი დროიდან დღემდე. კურსი ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის დიდი ბრიტანეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების, ცნობილი ადამიანებისა და მათი იდეების, ინგლისური ენის კულტურის გაცნობას და მის მიმართ გაგებისა და პატივისცემის განვითარებას. კურსი აძლევს სტუდენტებს საშუალებას ისტორიული სადაო საკითხების მეშვეობით განივითარონ კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები, აღიქვან თანამედროვე მოვლენებსა და პრობლემებზე წარსულის ზეგავლენა.</p>
<p>23. ლინგვისტური და ლიტერატურული კვლევის მეთოდები</p>	5	<p>კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გაუღრმავოს ცოდნა და აღჭურვოს საჭირო უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია აკადემიური და საფუძვლიანი კვლევის წარმოებისათვის ლინგვისტიკაში, ლიტერატურაში და ინგლისური ენის სწავლებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაეცნობიან სამეცნიერო ნაშრომის დაგეგმვის პრინციპებს. ისინი ისწავლიან ციტირების სხვადასხვა სისტემას, რეფერირებას, კომენტარებისა და დანართების შექმნის მეთოდებს. სტუდენტები ასევე შეისწავლიან კვლევის სხვადასხვა პარადიგმას, კვლევის მეთოდოლოგიებსა და მეთოდებს, რაც აუცულებელია სამეცნიერო ღირებულების მქონე კვლევის საწარმოებლად. კურსი სტუდენტებს დაეხმარება დაწერონ მეთოდოლოგიურად და ენობრივად გამართული კვლევა, რომელიც აკმაყოფილებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.</p>
<p>24. საბაკალავრო ნაშრომი</p>	10	<p>საბაკალავრო ნაშრომი ითვლება საბაკალავრო სწავლების ბოლო ეტაპად. მისი შესრულების მიზანია სტუდენტს განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რათა მან მოახერხოს ხელმძღვანელის დახმარებით ინგლისური ფილოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა. ძირითადი აქცენტი კეთდება საკვლევი შეკითხვებისა და მეთოდების სათანადოდ შერჩევამდე, თეორიული და ემპირიული მასალის ანალიზზე. საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტი სტუდენტს აწვდის მოთხოვნების</p>

		დეტალურ აღწერას, რომელიც ეფუძნება APA-ს ციტირება-რეფერირების სისტემის მოთხოვნებს.
<b>სპეციალობის არჩევითი საგნები</b>		
25. აღორძინების ხანის ინგლისის ლიტერატურა	5	კურსის მიზანია, სტუდენტებს გავაცნოთ აღორძინების ხანის ინგლისურენოვანი ლიტერატურა; კერძოდ, შექსპირეულ კომედიასა და დრამას, სონეტებს, პასტორალურ პოეზიას, სატირას და ეპოქისათვის დამახასიათებელ სხვა ჟანრებს. კურსი ასევე მოიცავს პერიოდის ისტორიულ მიმოხილვას და ინგლისური ენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ენობრივ ცვლილებებს. კურსი დაეხმარება სტუდენტებს, იმსჯელონ ინგლისურ ლიტერატურაზე პროფესიულ დონეზე, გააკეთონ მოხსენებები, გაანალიზონ ლიტერატურული ნაწარმოებები.
26. შუა საუკუნეების ინგლისის ლიტერატურა	5	კურსის მიზანია, სტუდენტებს გავაცნოთ შუასაუკუნეების ანგლო-საქსური პერიოდის ლიტერატურა, კერძოდ კი ეპიკური ჟანრი, ხალხური ბალადები და შუასაუკუნეების დრამა. კურსი ასევე მოიცავს აღნიშნული პერიოდის ისტორიულ მიმოხილვას და ინგლისური ენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ენობრივ ცვლილებებს. სტუდენტებმა უნდა შეძლონ ამ პერიოდის ლიტერატურაზე მსჯელობა და მისი ანალიზი.
27. ინგლისური დრამა და პოეზია	5	კურსის მიზანია სტუდენტებს გაუღრმავოს ინგლისური პოეზიის და დრამის ცოდნა, ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი ენა და სტილისტური მახასიათებლები რომლებსაც ინგლისელი პოეტები იყენებენ თავიანთ ნაწარმოებებში. სტუდენტები მიმოიხილავენ ინგლისის პოეზიას, დრამას, კულტურას, პოლიტიკას და სოციალურ ასპექტებს რომლებმაც გავლენა იქონიეს პოეზიის განვითარებაზე. კურსის დასრულებისას სტუდენტებს ეცოდინებათ ინგლისის მთავარი პოეტები და დრამატურგები რომლებმაც საუკუნეების მანძილზე განავითარეს ინგლისური პოეზია.
28. ბრიტანული პოპულარული კულტურა	5	კურსი ორ მიზანს ემსახურება: ამომწურავი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ბრიტანული კულტურის შესახებ, რაც გულისხმობს გეოგრაფიის, ისტორიის, პოლიტიკის, ემიგრაციის, განათლების, მედიის, ხელოვნების, ცხოვრების წესის ფართო სპექტრის გაშუქებას და ბრიტანეთის კულტურის დანახვა და შესწავლა ქართველი და შერეულ კულტურათა მატარებელი სტუდენტების გადმოსახედიდან.
29. ინგლისური მოთხრობა	5	კურსი წარმოაგენს ინგლისური მოთხრობის გაძლიერებულ კურსს სტუდენტისათვის, რომელსაც

		<p>ძალუმს კითხვა უნივერსიტეტში მიღებულ დონეზე. იგი განკუთვნილია განავითაროს სტუდენტის ფიქრის, აზროვნებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარები. კურსის წარმატებით დასრულებისას, სტუდენტს უნდა შეეძლოს გამოიყენოს კითხვისა და ინფერენტული აზროვნების ეფექტური უნარები ტექსტებზე მუშაობისას და პირადი მიზნებისათვის კითხვისას.</p>
30. ინგლისური რომანი	5	<p>სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ინგლისური ლიტერატურა, ასწავლოს თუ როგორ ჩაწვდნენ ლიტერატურული ნაწარმოებების არსს, გაანალიზონ და შეფასონ კრიტიკულად. კურსის მიმდინარეობისას სტუდენტები ისწავლიან, თუ როგორ იმუშაონ ნაწარმოების სტილისტურ ანალიზზე, ლექსიკაზე და გრამატიკულ მასალაზე. კურსი სთავაზობს სტუდენტებს ჯეინ ოსტინის რომანის „სიამავე და ცრურწმენა“ წაკითხვას ორგინალში და მის ანალიზს. გარდა ამისა, კურსის ფარგლებში განხილული იქნება სამი უდიდესი ინგლისელი მწერლის ჯეიმს ჯოისის, ვირჯინია ვულფის და კეთრინ მენსფილდის მოთხრობები.</p>
31. ტექსტის ანალიზი	5	<p>კურსის მიზანია გადასცეს სტუდენტს სათანადო ცოდნა, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია ინგლისური ენის ფილოლოგიისათვის. სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა ღრმად შეისწავლოს ტექსტის სტრუქტურა, ინგლისურ ენაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები თუ სხვა სახის ტექსტები. სტუდენტი მიიღებს სპეციფიურ ცოდნას სტილის, ჟანრისა თუ სტილისტური საშუალებების შესახებ, რაც აუცილებელია სხვადასხვა რთული თუ მარტივი შინაარსის გადმოსაცემად.</p>
32. რომანტიული და ვიქტორიანული პერიოდის ინგლისის ლიტერატურა	5	<p>კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოთ რომანტიზმისა და ვიქტორიანული ხანის ინგლისურენოვანი ლიტერატურა. კერძოდ, რომანტიზმის პერიოდი, ლირიული პოეზია, ინგლისური ნოველა და ეპოქისათვის დამახასიათებელ სხვა ჟანრები. კურსი ასევე მოიცავს პერიოდის ისტორიულ მიმოხილვას და ინგლისური ენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ენობრივ ცვლილებებს.</p>
33. XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურა	5	<p>კურსის მიზანია მე-20 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის სწავლება. სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან ამ ეპოქის მწერლებს და გაანალიზებენ მათ ნაწარმოებებს.</p>
34. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა და საზოგადოება	5	<p>კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ისტორია და ძირითადი აზრები, რომლებსაც ეყრდნობა ბრიტანული სახელმწიფოებრიობა, ვესტმინისტური მოდელი და მის მიღმა, ტექტჩერიზმი, კონსერვატორები და ლეიბორისტები, სახელმწიფო და ეკონომიკა, პროფკავშირები და ბრიტანული პოლიტიკა, კაპიტალი და ბრიტანული პოლიტიკა, სოციალური კლასები, გენდერი, რასა, ეთნოსი და პოლიტიკა,</p>

		ბრიტანული სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, ჩრდილო-ირლანდიის პრობლემა და ა.შ. სტუდენტებმა უნდა შეძლონ ბრიტანეთის პოლიტიკისა და საზოგადოების შესახებ მსჯელობა და ანალიზი.
35. ინგლისური ლიტერატურის შესავალი	5	კურსის დასრულებისას სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი წარმოდგენა (ცოდნა) ინგლისური ლიტერატურის შესახებ (ამერიკული, კანადური, ირლანდიური, ავსტრალიური და სამხრეთ აფრიკული), ცნობილი ავტორებისა და მათი ნაწარმოების შესახებ. უნდა შეეძლონ მსჯელობა მათ შესახებ კულტურულ კონტექსტში, გაანალიზონ ნაწარმოები ლიტერატურული ტერმინების გამოყენებით.
36. დიდი ბრიტანეთის ღირშესანიშნაობები	5	კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს გაერთიანებული სამეფო, ქვეყნების ერთობლიობა, რომელთაც წლების განმავლობაში გაიარეს მრავალფეროვანი კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, რამაც განაპირობა ქვეყნის საბოლოო ჩამოყალიბება. ამგვარად, კურსის მეშვეობით სტუდენტები გაეცნობიან გაერთიანებული სამეფოს კულტურული და სოციალური ასპექტების სირთულეებს. საგანი სტუდენტებს მისცემს ცოდნას ქვეყნების ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობების შესახებ.
37. ენისა და ლიტერატურის სწავლება	5	კურსი მიზნად ისახავს ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მხატვრული ლიტერატურის გამოყენების მეთოდოლოგიაზე ენის სწავლებისას. კურსი პრაქტიკული ხასიათისაა და სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, თუ როგორ გამოიყენოს ლიტერატურა ენის სწავლებისას. სტუდენტი გაიღრმავებს თანამედროვე ლიტერატურისა და ენის სწავლების მეთოდოლოგიის ცოდნას. ასევე შეისწავლის პროფესიულ ლიტერატურას, რათა უკეთ გაიაზროს ენის სწავლების პროცესი და შეძლოს არა მარტო ცოდნაზე, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული გაკვეთილების ჩატარება ენასა და ლიტერატურაში.
<b>უცხოური ენები</b>		
38. უცხო ენები I, II, III, IV (ქართული ენა, რუსული ენა, თურქული ენა, ესპანური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა)	5	
39. აკადემიური წერა	5	კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს აკადემიური წერის მნიშვნელობა და განუვითაროს მათ კრიტიკული

		აზროვნების და კითხვის უნარი, მასალის მოძიების, საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკა, მისი მომზადებისა და გაფორმების, ასევე შესაბამისი ლიტერატურის გამოყენების და მითითების წესები. კურსის შესწავლა დაეხმარება სტუდენტებს განვითარონ ანალიტიკური აზროვნება, ლოგიკური მსჯელობის უნარ-ჩვევები და უნარი დამოუკიდებლად შექმნან მეცნიერული ნაშრომი.
40. ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს კომპიუტერული ტექნოლოგიები და ოფისის პროგრამები, რათა შეასრულონ სხვადასხვა დავალებები, მონაცემთა ანალიზი, შედეგების წარდგენა პრეზენტაციის მეშვეობით.
<b>ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაცია/დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები/თავისუფალი კრედიტები</b>		

### სწავლის შედეგები

პროგრამა მიზნად ისახავს კონკრეტული შედეგების მიღწევას: სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის განვითარება (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა) B2 დონეზე (ევროპული სტანდარდების (CEFR) შესაბამისად), რაც მიიღწევა პირველი კურსის პრაქტიკული კურსებისა და მოგვიანებით, სპეციალობის სავალდებულო თუ არჩევითი კურსების მეშვეობით. ანალიტიკური და პრაგმატული (ტექსტის ანალიზი, ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის ფუნქციური და პრაგმატიკული ასპექტები, ლიტერატურული კრიტიკა და ანალიზი, მულტიკულტურულ გარემოში კომუნიკაცია და დასაქმება) უნარ-ჩვევების ფორმირება, რაც მოიცავს შესაბამისი ინგლისური ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების პრაგმატულ ცოდნასა და ლინგვისტური (ენათმეცნიერებისა და ენის შესწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხების, სპეციფიკური ტერმინოლოგიისა და კომუნიკაციაში შემავალი პრაქტიკული ენობრივი ასპექტების ცოდნა) კომპეტენციის განვითარებას. მეორე კურსიდან სტუდენტები იღებენ ფილოლოგიის დარგში ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და ზოგად უნარებს შემდეგი მიმართულებით: ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერება, ლექსიკოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები ინგლისური ფილოლოგიისათვის, ბრიტანეთის ისტორია და მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობები.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამა ასევე ისახავს მიზნად სტუდენტს განუვითაროს ენობრივი (ინგლისური) უნარ-ჩვევების დახვეწის, ცოდნის მუდმივად განახლებისა და თვითგანვითარებისაკენ მისწრაფება.

ზემოთ მოცემული ასპექტების გათვალისწინებით პროგრამის მიზანია აღზარდოს კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ თავისუფლად გამოიყენონ ინგლისური ენა ყოველდღიური და პროფესიული კომუნიკაციისას (როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე უცხოეთში).



პროგრამის გლობალური მიზნებია სტუდენტს განუვითაროს ინგლისურ ენაზე ეფექტურად წერისა და საუბრის უნარი; ასევე კრეატიულად აზროვნების, საკუთარი პროფესიის ანალიტიკურ ჭრილში გააზრებისა და აკადემიური და შესაბამისად, პროფესიული წინსვლის უნარი. ჩვენი მიზანია აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება და წვლილს შეიტანს საკუთარი ქვეყნის განვითარების პროცესში. პროგრამა ასევე ისახავს მიზნად სტუდენტებს განუვითაროს ღირებულებები, ენების შესწავლის მიმართ ძლიერი ინტერესი და საკუთარი და სხვათა კულტურის პატივისცემა.

### **შეფასების სისტემა**

მაქსიმალური შეფასება ყოველი კურსისთვის შეადგენს 100 ქულას. პროგრამებზე, კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური/დასკვნითი შეფასებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ასახულია შესაბამის სილაბუსში.

საკრედიტო სისტემა უშვებს:

#### **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა.
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა.
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა.
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა.
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

#### **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ჯამური შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამების საფუძველზე.